ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდეთ!

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1929 წ. დეკემბრის 16. № 22 ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

250. „საქართველოს სსრ-ში რევოლიუციონური წესრიგის დაცვის საგანგებო ღონისძიებათა დებულების“ დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ-ში რევოლიუციონური წესრიგის დაცვის საგანგებო ღონისძიებათა შესახებ.

251. მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების 1-ლი მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

252. ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე კომიტეტის დებულების 29 მუხლის შეცვლის შესახებ.

253. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 265 მუხლის მე-2 შენიშვნის რედაქციის შეცვლის შესახებ.

254. საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დროებითი დებულების სამოქმედოდ შემოღების გამო საქართველოს სსრ მომქედ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებათა შეტანის შესახებ.

255. სისხლის სამართლის კოდექსისათვის 88[1] მუხლის დამატების შესახებ.

256. სისხლის სამართლის კოდექსის 212 მუხლის გაუქმების შესახებ.

257. „საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 25-ს თარიღისა და 22 №-ის დადგენილების მე-9 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

258. ადგილობრივი საბჭოებისათვის იმ უფლების მინიჭების შესახებ, რომლის ძალითაც მათ შეეძლებიათ ადმინისტრატიული გადასახდელი დაადგან იმ პირთ, ვინც თავს აარიდებს პურის ჩაბარებას თვითვალდების წესით პურის დამზადების გეგმის შესასრულებლად.

259. სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 366[88]-ბ და 366[88]-გ მუხ. დამატების შესახებ.

№ 22
ეროვნული
ბიბლიოთეკა

260. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 415[1] მუხლის შეცვლის შესახებ.

261. ლიკვიდაციად მოქცეულ საწარმოთათვის ამ თუ იმ პირის დაშავების ან სიკვდილის გამო, გადასაწდევინებელი პენსიისა და სასყიდლის კაპიტალიზაციის შესახებ.

262. სათამასუქო დებულების 1 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

263. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოების და ჯარის თანამშრომლებისა და თავმდგომთა შედგენილობის საბინაო საქონიოების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო პოლიტიკური სამართველოს ორგანოებისათვის საქალაქო სახლთმფლობელობაში საცხოვრებელი სივრცის მიკუთვნების შესახებ.

264. სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ და ამავე კოდექსიდან 53 მუხ. ამოშლის შესახებ.

265. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის შეცვლის შესახებ.

266. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 და 48 მუხლის დამატების შესახებ.

267. ქ. ქუთაისის ზოგიერთ საფაბრიკო-საქარხნო საწარმოში სასამართლოების მოწყობის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

268. სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების სამდღიურის ჩატარების შესახებ.

269. ახალი თურქული (გალათინინზირებული) ალფაბეტის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოღების შესახებ.

270 „წერა-კითხვის“ საზოგადოების კვირეულის ჩატარების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

271. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან საბრძოლველად კომიტეტის დაარსების შესახებ.

272. შინამომუშაკეთა შრომის პირობების შესახებ.

273. მუშათა ბინებისა და მუშებით დასახლებული ადგილების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებათა შესახებ.

274. სოფლად სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის გადასახადის შეკრეფის წესის შესახებ.

275. დედა-ცხვრების დაკვლის აკრძალვის შესახებ.

276. საქართველოს სსრ-ში სამეცხვარეო მეურნეობათათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში შეღავათის მინიჭების შესახებ.

277. დაინტერესებულ სახალხო კომისარიატებზე, ტრესტებზე, სამეურნეო ორგანიზაციებზე, კოოპერატიულ და კოლექტიურ მეურნეობებზე უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო პროფესიონალურ-ტეხნიკურ სასწავლებლების მიმაგრების შესახებ.

278. ეკონომ სამეცნიერო წარკლინების შესახებ.

279. საცხოვრებელი სადგომების შენენისა, დაქირავებისა და გაცვლა-გამოცვლისათვის საშუამავლო საბინაო ბიროს დაარსების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

250. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც.ა.კ. და ს.კ.ს.

„საქართველოს სსრ-ში რევოლიუციონური წესრიგის დაცვის საგანგებო ღონისძიებათა დებულების“ დამტკიცებისა და სამომქმედოდ შემოღების შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „რევოლიუციონური წესრიგის დაცვის საგანგებო ღონისძიებათა დებულების სამომქმედოთ შემოღების შესახებ“—1925 წ. აპრილის 3-ს თარიღით გამოცემული დადგენილების (სსრკ კან. კრ. 1925 წლ. № 25, მუხ. 166) მე-2 მუხლის თანახმად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული „დებულება რევოლიუციონური წესრიგის დაცვის საგანგებო ღონისძიებათა შესახებ“ და გავრცელებულ იქნეს მისი მოქმედება მთლად საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე, აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებიზეთ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმ. **გ. ყურულაშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 27.
ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ-ში რევოლიუციონური წესრიგის დაცვის საგანგებო ღონისძიებათა შესახებ.

I. ზოგადი დებულებანი.

1. ცხოვრების ნორმალური წესრიგის დარღვევის დროს შეიძლება მიღებულ იქნეს საგანგებო ღონისძიებანი განსაკუთრებული ან სამხედრო წესების შემოღებით იმ საფუძვლებზე, რაც გათვალისწინებულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 3-ს დადგენილებით დამტკიცებული დებულებით „რევოლიუციონური წეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგის დაცვის საგანგებო ღონისძიებათა შესახებ" (სსრკ კან. კრ. 1925 წ. 25 №-რი, მუხ. 166, 1929 წ. მე-8 №-რი. მუხ. 74).

2. განსაკუთრებული წესები შემოიღება:

ა) უკეთუ მოხდა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების—და მის ცალკე წარმომადგენლის წინააღმდეგ მიმართული კონტრ-რევოლიუციონური ხელყოფა და გამოსვლა, ან უკეთუ სერიოზულად მოსალოდნელია, რომ შეიძლება მოხდეს ასეთი ხელყოფა და გამოსვლა;

ბ) უკეთუ მოხდა მოქალაქეთა პიროვნების და ქონების წინააღმდეგ მიმართული მასიური ხელყოფა;

გ) უკეთუ ნორმალური ცხოვრება დარღვეულია არა ჩვეულებრივი სტიქიური უბედურებით;

დ) უკეთუ ეს წესი საჭიროა როგორც ნორმალურ წესრიგზე გადასვლის ღონისძიება ისეთ ადგილას, სადაც სამხედრო წესები იყო გამოცხადებული;

3. სამხედრო წესები შემოიღება;

ა) მე-2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უკეთუ განსაკუთრებული წესების ღონისძიებანი საკმარისი არ არის რევოლიუციონური წესრიგის დასაცავად დ ალსადგენად;

ბ) უკეთუ ესა თუ ის ადგილი სამხედრო მოქმედების ასპარეზად გადაიქცა ან მას სამხედრო მიზნებისათვის განსაკუთრებული შინაშენლობა მიეცა.

4. რევოლიუციონური წესრიგის დაცვის საგანგებო ღონისძიებანი შემოღებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, რაც სათანადო დაწესებულების დადგენილება მათი შემოღების შესახებ გამოქვეყნებულ იქნა ადგილობრივ ოფიციალურ ორგანოში დაბეჭდით ან ოფიციალური განცხადებების გამოკვრით. დაცვის საგანგებო ღონიძიებათ შემოღების დადგენილებაში ზედმიწევნით უნდა აღინიშნოს ხსენებულ ღონისძიებათა მოქმედების ვადა.

5. დაცვის საგანგებო ღონისძიებათა მოხსნასთან ერთად—ყველა სავადებულო დადგენილება და განკარგულება, გამოცემული იმ განსაკუთრებული უფლებამოსილების ძალით, რაც მინიჭებული ჰქონდათ ხელისუფლების სათანადო ორგანოებს განსაკუთრებული ან სამხედრო წესების მოქმედების განმავლობაში, ჰგრგავს ძალას და ამისათვის საჭირო არ არის ცალკე დადგენილების გამოტანა.

II. განსაკუთრებული წესები.

6. განსაკუთრებული წესები შემოიღება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოსახალხო კომისართა საბჭოს ან აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ის და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების წარდგენით, კუთვნილებისამებრ.

7. აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საოლქო (ხოლო იქ, სადაც იგი მოწყობილი არ არის—სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებს და მათ პრეზიდიუმებს უფლება ეძლევათ საკუთარი ძალაუფლებით შემოიღონ განსაკუთრებული წესები შემდეგ შემთხვევაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) უკეთუ შეუძლებელია ცენტრალურ ხელისუფლებასთან კავშირის დაჭერა ან

ბ) უკეთუ ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ საჭიროა განსაკუთრებული წესების შემოღება და არ შეიძლება ამის დაყოვნება.

განსაკუთრებული წესების შემოღება აღნიშნული რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით — დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

8. განსაკუთრებული წესების შემოღების დადგენილებაში ზედმიწევნით უნდა აღინიშნოს ის ადგილი (რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი, მაზრა, ქალაქი), სადაც განსაკუთრებული წესები უნდა იქნეს შემოღებული.

9. განსაკუთრებული წესები შემოიღება ვადით არა უმეტეს სამი თვისა, ამ ვადის განგრძობა შეიძლება 6 მუხლით გათვალისწინებულ წესისამებრ. განსაკუთრებული წესების ვადამდე მოხსნა შეიძლება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით.

10. მთლად იმ დროის განმავლობაში, რომლითაც განსაკუთრებული წესებია შემოღებული, საოლქო აღმასრულებელი კომიტეტებისათვის (ხოლო იქ, სადაც იგი მოწყობილი არ არის, — სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტისათვის) და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში — ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისათვის მინიჭებული ძალა უფლება გადადის მათ პრეზიდიუმზე.

აღმასრულებელ კომიტეტს მოიწვევს მისი პრეზიდიუმი თავის შეხედულებით.

11. უკეთუ განსაკუთრებულ წესები შემოღებულია მთელ ოლქში (მაზრაში), სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს, სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენით, შეუძლიან დანიშნოს განსაკუთრებული რწმუნებული საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში თავმჯდომარეობის გასაწევად.

12. განსაკუთრებული წესების გასატარებლად მიღებული ღონისძიებანი საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა უნდა დაუყოვნებლივ აცნობოს სათანადო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

13. ისეთ ადგილებში, სადაც განსაკუთრებული წესებია შემოღებული, საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს უფლება ეძლევა:

ა) გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი ისეთი საკითხების შესახებ, რაც მის ნორმალურ კომპეტენციის ფარგლებს სცილდება, თუ ეს საჭიროა სახელმწიფოებრივი წესრიგისა და უშიშროების დასაცავად, და ამ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის ღონისძიებად დაიწესოს თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს ორი თვისა და ჯარიმა: ქალაქად ჩადენილი დარღვევითვის — ათას მანეთამდე, ხოლო სოფლად — ორას მანეთამდე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გადაასახლოს ოლქისა (მაზრისა) და მისი ცალკეული პუნქტების ფარგლებიდან განსაკუთრებული წესების მოქმედების ვადით ისეთი პირები, ვინც საზოგადოებრივი წესრიგისათვის საშიშად არის ცნობილი ან გადაასახლოს ასეთი პირები იმავე ვადით ოლქის (მაზრის) განსაზღვრულ ადგილებში თავისუფალი მიმოსვლის აკრძალვით;

გ) ისეთ ადგილას, რომელსაც არაჩვეულებრივი სტიქიური უბედურება შეემთხვა: 1) მოახდინოს ქონების რეკვიზიცია კანონით მიღებული წესისამერ; ამისათვის საჭირო არ არის ცენტრალური ხელისუფლების ნებართვა, საჭიროა მხოლოდ სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის ცნობის გაგზავნა და 2) დაიწესოს შრომის ბეგარა;

დ) შეიჭიროს განსაკუთრებულ შემთხვევაში საწარმოთა საზოგადოებრივ დაწესებულებათა მუშაობა, აგრეთვე საზოგადოებებისა, კავშირებისა, კრებებისა, ყრილობებისა და ბეჭდვითი სიტყვისათვის შემოღებული კანონებისა და წესების მოქმედება;

ე) მოსთხოვოს სამხედრო სარდლობას საჭირო დახმარების აღმოჩენა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული ინსტრუქციის წესით.

14. განსაკუთრებული წესების მოქმედების დროს სათანადო საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელი კომიტეტისა და მისი პრეზიდიუმის სხდომებზე პროკურატურის წარმომადგენლის დასწრება სავალდებულოა.

III. სამხედრო წესები.

15. სამხედრო წესები სამხედრო მოქმედების ასპარეზის გარეშე შემოიღება სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით.

განსაკუთრებულ შემთხვევებში სამხედრო წესები შეიძლება შემოღებულ იქნეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

16. ისეთ შემთხვევაში, როდესაც: 1) შეუძლებელია როგორც სსრ კავშირის ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ისე საქართველოს სსრ ცენტრალურ ხელისუფლებასთან კავშირის დაჭერა, ან 2) ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ დაყოვნება არ შეიძლება, აფხაზეთისა, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და აგრეთვე საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვს საკუთარი ძალაუფლებით შემოიღონ სამხედრო წესები, რაც შემდგომ, პირველ შეძლებისთანავე, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით, უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

17. უმაღლესი ხელისუფლება იმ ტერიტორიაზე, სადაც სამხედრო წესია გამოცხადებული, გადაეცემა სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტებს, რომე-

ლნიც მოქმედობენ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული სათანადო დებულების საფუძველზე.

18. სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტტეს დანიშნავს სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი სახალხო კომისართა საბჭოს წარდგენით.

შენიშვნა. სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტის შედგენილობაში აუცილებლად უნდა შევიდეს გადამწყვეტი ხმის უფლებით: 1) სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სათანადო ორგანოს უფროსი, 2) უკეთუ იმ ადგილს, სადაც სამხედრო წესებია, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ჯარი იმყოფება და უკეთუ ეს ჯარი თავის შედგენილობით ცალკე ნაწილზე ნაკლები არ არის, სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტში შედის ის, ვინც, ჯარის თავმდგომთა შორის, ყველაზე უფროსია, ან სათანადო სამხედრო კომისარი; ხოლო უკეთუ წითელი არმიის ჯარი აღნიშნულ ადგილას სულ არ არის ან თუ იგი თავისი შედგენილობით ცალკე ნაწილზე ნაკლებია—სოოლქო (სამაზრო) სამხედრო კომისარი.

სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტის სხდომაზე სათათბირო ხმით მონაწილეობას იღებს პროკურატურის წარმომადგენელი, რომელსაც უფლება აქვს განაპროტესტოს კომიტეტის დადგენილება.

19. ისეთ ადგილას, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული, ამ წესების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილებით, შეიძლება დაარსებულ იქნეს სამხედრო ტრიბუნალები, რომელთაც მიეცემათ ისეთივე უფლებები, რაც საბრძოლო პირობებში მომქმედ ტრიბუნალებს აქვთ. სამხედრო ტრიბუნალების დაარსება უნდა ეცნობოს რესპუბლიკის პროკურორს.

20. სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტებს, იმ უფლებების გარდა, რაც ამა დებულების მე-13 მუხლის ძალით მინიჭებული აქვთ სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტების პრეზიდიუმებს, უფლება ეძლევათ:

ა) დაწესონ საავადებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელი: 1) თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს ექვსი თვისა; 2) ჯარიმა—ქალაქად ორი ათას მანეთამდე, ხოლო სოფლად—ოთხას მანეთამდე; 3) მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაცია;

ბ) გადასცენ სამხედრო ტრიბუნალს განსახილველად ცალკე სისხლის სამართლის საქმეები და აგრეთვე გამოჰყონ საერთო ქვემდებარეობიდან განსაზღვრული კატეგორიის საქმეები და გადასცენ სამხედრო ტრიბუნალს, რაც უნდა წინასწარ საყოველთაოდ იქნეს გამოცხადებული;

გ) აუკრძალონ იმ ადგილს, სადაც სამხედრო წესებია შემოღებული, შეშემოსვლა და გასვლა როგორც ცალკეულ პირებს, ისე მოსახლეობის ცალკეულ კატეგორიებს;

დ) მოახდინონ ქონების რეკვიზიცია კანონით დადგენილი წესისამებრ; ამისათვის საჭირო არ არის ცენტრალური ხელისუფლების ნებართვა, საჭიროა მხოლოდ ეს შემდგომ ეცნობოს სათანადო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) აკრძალონ ამა თუ იმ საგნების გაზიდვა და შემოზიდვა;

ვ) გამოაცხადონ, უკეთუ ცენტრთან კავშირი შეწყვეტილია და ეს განსაკუთრებით საერო იქნება, სამხედრო მობილიზაცია და შემოიღონ სხვა სამხედრო ბეგარა, ხოლო ცენტრთან კავშირის აღდგენის შემდეგ დაუყოვნებლივ აღძრონ ცენტრის წინაშე შუამდგომლობა მიღებულ ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ.

21. უკეთუ სამხედრო წესები გამოცხადებულია სამხედრო მოქმედების ასპარეზზე („რევოლიუციონური წესრიგის დაცვის საგანგებო ღონისძიებათა დებულების“ მე-16 მუხ.—სსრკ კან. კრ. 1925 წ. № 25, მუხ. 166; 1929 წ. მე-8 №-რი, მუხ. 74) სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტები უშუალოდ ემორჩილებიან სამხედრო სარდლობას სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გამოცემული კანონის წესისამერ.

22. სამხედრო მოქმედების შეწყვეტის გამოცხადებისთანავე—სამხედრო მოქმედების ასპარეზზე შემოღებულ სამხედრო წესების ნაცვლად ავტომატიურად შედის ძალაში ამა დებულების 15—20 მუხლით გათვალისწინებული სამხედრო წესები.

IV. რევოლიუციონური წესრიგის დაცვის საგანგებო ღონისძიებათა შეფარდების განსაკუთრებული შემთხვევები.

23. რევოლიუციონური წესრიგის დაცვის საგანგებო ღონისძიებათა შეფარდების წესი რკინის გზებზე, ფაბრიკა-ქარხნებში და სხვა ისეთ დაწესებულებებში და საწყობებში, რომლებსაც სამხედრო მნიშვნელობა აქვთ, აგრეთვე სამხედრო წესები სამხედრო მოქმედების ასპარეზზე განისაზღვრება „რევოლიუციონური წესრიგის დაცვის საგანგებო ღონისძიებათა დებულების“ მე-IV, V და VI თავებით, სსრკ კან. კრ. 1925 წ. 25 №-რი, მუხ. 166, და 1929 წ. მე-8 №-რი, მუხ. 74).

დაცვის საგანგებო ღონისძიებათა შეფარდების წესი სამხედრო ქალაქებსა და დასახლებულ ადგილებში განისაზღვრება სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული განსაკუთრებული დებულებით ციხე-სიმაგრეთა მართველობის შესახებ.

---

251. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების 1-ლი მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 20-ს დადგენილებით დამტკიცებულ „მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების“ 1-ლ მუხლს (საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-9 №-რი, მ. 71) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა. ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება სოფლის მოსახლეობაზე და აგრეთვე ქალაქისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების მოსახლეობაზე, ქალაქ ტფილისისა, ქუთაისისა, ფოთისა, ჭიათურისა, ბორჯომისა, ახალციხისა, სიღნაღისა, თელავისა, სოხუმისა, გუდაუთისა, ოჩეშჩირისა და ბათომის გამოკლებით".

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარეს მოვ. აღმ. **გ. ყურულაშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 27.
ტფილისი—სასახლე.

---

252. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე კომიტეტის დებულების 29 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან არსებული ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე კომიტეტის დებულების 29 მუხლის მეორე აბზაცი, რომელი დებულებაც დამტკიცებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის დეკემბრის 8-ის თარიღისა და 101 №-ის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრებ. 1929 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 11), მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ომის ინვალიდთა, ავადმყოფ, დაჭრილ და დემობილიზებულ წითელარმიელთა და ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დამხმარე კომიტეტის საკავშირო-სამრეწველო და საწარმოო მოქმედებას განახორციელებენ მასთან არსებული სამმართველოები და განყოფილებანი იმ წესების საფუძველზე, რასაც დაამტკიცებს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი".

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმ. **გ. ყურულაშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 27.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

253. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 265 მუხლის მე-2 შენიშვნის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (კან. კრ. 1924 წ. № 1, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 265 მუხლის მე-2 შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„**შენიშვნა 2.** რწმუნებულობისათვის სსრკ-ის სახელმწიფო ბანკსა და სახელმწიფო შრომითი შემნახველ სალაროში ოპერაციების საწარმოებლად სავალდებულო არ არის სანოტარო წესით შემოწმება.

სახელმწიფო შრომითი შემნახველ სალაროში ანაბარის შემტანს (მეანაბარეს) შეუძლიან განუცხადოს სალაროს, რომ მისი შემნახველ წიგნაკი თფული ეძლეოდეს ყველას, ვინც კი ამ წიგნაკს წარადგენს.

პასუხისმგებლობა ფულის მიცემისათვის ამ შემთხვევაში დაეკისრება მარტოოდენ თვით მეანაბარეს“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმ. **გ. ყურულაშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 27,
ტფილისი—სასახლე.

---

254. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დროებითი დებულების სამოქმედოდ შემოღების გამო საქართველოს სსრ მომქმედ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებათა შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო 1929 წ. მაისის 14-ს დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოს დროებითი დებულების“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-11 №-რი, მუხ. 99) სამოქმედოდ შემოღებასთან და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირებით—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სიტყვები „საქართველოს სსრ ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველო“ და „ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველო“ შეიცვალოს სიტყვებით: „საქართველოს სსრ გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველო“:

ა) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მარტის 30-ს დადგენილებით (კან. კრ. 1928 წ. მე-6 №-რი, მუხ. 46) მიღებულ **ინსტრუქციაში**, რომელიც გამოცემული იქნა ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წ. სექტემბრის 5-ს დამტკიცებული „სოფლის მოსახლეობის შრომის საგზაო ბეგარის დებულების“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-17 №-რი, მუხ. 204) შესაფარდებლად;

ბ) ყველა სხვა აქტში, რაც საქართველოს სსრ კანონმდებლობის წესით გამოცემულ იქნა 1929 წ. მაისის 14-დე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმ. **გ. ყურულაშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 27.
ტფილისი—სასახლე.

---

255. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 88[1] მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. № 1, მუხ. 7), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სისხ. სამ. კოდექსს დაემატოს 88[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 88[1]. ყველა ისეთი გარიგების დადება, რაც აშკარად ან ფარულად დაარღვევს მიწის ნაციონალიზაციის პრინციპს (ყიდვა-გაყიდვა, გაჩუქება, მიწის ანდერძით გადაცემა, მიწის თვითნებობითი კანონსაწინააღმდეგო გაცვლა-გამოცვლა და სხვ.) გამოიწვევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე, იმ მიწის ნაკვეთის, რაც გარიგების ობიექტი იყო, და ამ მიწის ნაცვლად მიღებული ფულადი ან სხვა ქონებრივი სასყიდლის ჩამორთმევით ორსავე შემთხვევაში, აგრეთვე მიწის სარგებლობის უფლების ჩამორთმევით ხუთ წლამდე ან უამისოდ.

მშრომელ მიწათსარგებლობისაგან ან სახელმწიფო საადგილმამულო მარაგიდან ოჯარით აღებული მიწის გადაცემა მოიჯარადრის მიერ სხვა პირისათვის (ქვეიჯარა)—

იძულებით მუშაობას ერთ წლამდე ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე, მიწის იმ ნაკვეთის, რაც გარიგების ობიექტი იყო, და ქვეიჯარისათვის მიღებული ფულადი ან სხვა ქონებრივი სასყიდლის ჩამორთმევით ორსავე შემთხვევაში აგრეთვე მიწის სარგებლობის უფლების ჩამორთმევით ხუთ წლამდე ან უამისოდ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმ. **გ. ყურულაშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 27.
ტფილისი—სასახლე.

---

256. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 212 მუხლის გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლის მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს სისხლის სამართლის კოდექსის 212 მუხლი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმ. **გ. ყურულაშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 27.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

257. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აპრილის 25-ს თარიღისა და 22 №-ის დადგენილების მე-9 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა გამოქვეყნების წესის შესახებ“ 1928 წ. აპრილის 25-ს თარიღით გამოცემული (კან. კრ. 1928 წ., № 7, მუხ. 52) დადგენილების მე-9 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 9. საქართველოს სსრ უმაღლესი ორგანოების მიერ დამტკიცებული ყველა იურიდიული პირის წესდება: სააქციო საზოგადოებისა (საპაიო ამხანაგობისა), საკრედიტო დაწესებულებისა, ტრესტისა და სინდიკატისა, კოოპერატიული შენაერთისა და სხვ., და აგრეთვე რესპუბლიკანურ მასშტაბით მომქმედი ისეთი კავშირისა და შენაერთისა, რომელსაც მიზნად მოგება არა აქვს დასახული, რეგისტრაციის შემდეგ, აუცილებლად გამოქვეყნებულ უნდა იქნეს „საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის“ მეორე ნაწილში.

ზემოაღნიშნულ წესდებათა დამტკიცების შემდეგ, ხოლო რეგისტრაციამდე, სათანადო საზოგადოებისა და შენაერთის დამფუძნებლებმა ან დაწესებულებისა თუ საწარმოოს ხელმძღვანელებმა უნდა წარადგინონ იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილების საკონდიციაციო ნაწილში წესდების ოფიციალურად შემოწმებული ასლი პუბლიკაციისათვის დაწესებული სასყიდლით.

რეგისტრაციის ორგანომ იურიდიული პირის რეგისტრაციის დროს უნდა გამოარკვიოს, შესრულებულია თუ არა ამა მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა და, არა უგვიანეს შვიდი დღისა, აცნობოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილების საკოდიფიკაციო ნაწილს რეგისტრაციაში წესდების გატარება. წესდება გამოქვეყნდება მის შემდეგ, რაც საკოდიფიკაციო ნაწილი მიიღებს აღნიშნულ ცნობას.

შენიშვნა. წესდების პუბლიკაციის სასყიდელს განსაზღვრავს იუსტიციის სახალხო კომისარიატი—საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავჯდომარის მოვ. აღმ. **გ. ყურულაშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 30.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

258. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ადგილობრივი საბჭოებისათვის იმ უფლების მინიჭების შესახებ, რომლის ძალითაც მათ შეუძლიანთ ადმინისტრატიული გადასახდელი დაადვან იმ პირთ, ვინც თავს აარიდებს პურის ჩაბარებას თვითვალდების წესით პურის დამზადების გეგმის შესასრულებლად.

სოფლად კულაკურ-სპეკულიანტურ ქმედობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და პურის დამზადების გეგმის ნორმალურად შესრულების უზრუნველყოფისათვის—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. უკეთუ სოფლის მცხოვრებთა საერთო კრება (სასოფლო ყრილობა) დაადგენს პურის დამზადების გეგმა შესრულებულ იქნეს თვითვალდების წესით მთელი სოფლის მიერ და, ამასთან დაკავშირებით, ეს ვალდებულება განაწილებული ია ცალკე მეურნეობათა შორის, ასეთ შემთხვევაში,—ნება მიეცეს სასოფლო საბჭოს იმ ოჯახის პატრონს, რომელიც არ ასრულებს აღნიშნულ დადგენილებას და თავს არიდებს განაწილებით გათვალისწინებული რაოდენობის პურის ჩაბარებას, დაადოს ადმინისტრატიული წესით ჯარიმა, ჩასაბარებელი პურის ხუთჯერ გადიდებული ღირებულების ფარგალში და, ამის გარდა, უკეთუ საჭიროდ დაინახავს, ამ ჯარიმის გადასახდევინებლად გაუყიდოს დაჯარიმებულს ქონება საჯარო ვაჭრობით.

2. უკეთუ პურის ჩაბარებაზე უარს მეურნეობათა ჯგუფი განაცხადებს ან იგი პურის დამზადების გეგმის გატარებას წინააღმდეგობას გაუწევს, სოფლის საბჭო და დამამზადებელი ორგანიზაცია მოვალენი არიან აღძრან აღნიშნულ ქმედობაში დამნაშავე პირთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნა სისხ. სამ. კოდექსის 61 მუხ. მიხედვით.

3. ამა დადგენილების ძალით გადახდევინებული ჯარიმიდან, აგრეთვე ამა დადგენილების 1-ლი მუხლის წესისამებრ ქონების საჯარო ვაჭრობაზე გაყიდვით შემოსული თანხებიდან 25% გადაირიცხება ღარიბი გლეხების კოოპერირებისა და კოლექტივიზაციის ფონდში სათანადო ადგილის მიხედვით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავჯდომარის მოვ. აღმ. **გ. ყურულაშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 30.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 257 №-ში 1929 წ. ნოემბრის 6.

259. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 366[88]-ბ და 366[88]-გ მუხ. დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოს მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსს დაემატოს 366[88]-ბ და 366[88]-გ მუხლები შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 366[88]-ბ. იმ დაწესებულებებს, რომელნიც განაგებენ სახელმწიფო სამრეწველო სააქციო საზოგადოებათ, ან სხვა სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათ, საქართველოს სსრ ეკონომიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სიით, ხოლო 366[82] მუხ. გათვალისწინებულ შემთხვევაში, წესდებაში აღნიშნულ დაწესებულებებსაც უფლება აქვთ, სათანადო საფინანსო ორგანოებთან შეთანხმებით, დაიკისრონ ზემოხსენებულ საზოგადოებათ საამორტიზაციო კაპიტალების მთლად ან ნაწილობრივ გრძელვადიანი კრედიტის დაწესებულებებში მოთავსება და განსაზღვრონ ასეთი ანაბარის ვადა და პირობები.

„მუხ. 366[88]-გ. სახელმწიფო სამრეწველო სააქციო საზოგადოებათა, აგრეთვე, საქართველოს სსრ ეკონომიური თათბირის მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით, სხვა სააქციო საზოგადოებათა წმინდა შემოსავლის 10% გადაიდება სპეციალური სახელმწიფო კაპიტალის შესაქმნელად გრძელვადიანი კრედიტის დაწესებულებებში, განსაკუთრებული კანონების თანახმად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კოისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმ. **გ. ყურულაშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 30.
ტფილისი—სასახლე.

---

260. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 415[1] მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 415[1] მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

„**მუხ. 415[1].** საწარმოთა (სახელმწიფო, შერეული, კერძო და სხვა), აგრეთვე საზოგადოებრივ და კოპერატიულ ორგანიზაციათა ლიკვიდაციის დროს ის თანხები, რაც მათგან ერგება დაზარალებულთ ან, რეგრესის წესისამებრ, სოციალური დაზღვევის ორგანოებს საზღაურის სახით, როგორც ლიკვიდაციამდე, ისე თვით ლიკვიდაციის პროცესში შემთხვეული დაშავებისა ან სიკვდილის გამო, კაპიტალიზებულ უნდა იქნეს და გაიცეს იმ საფუძვლითა და წესით, რომელიც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებაში „იმ პენსიებისა და გადასახდელთა კაპიტალიზაციის შესახებ, რაც უნდა გადაჰხდეს ლიკვიდაციად მიქცეულ საწარმოთ ამ თუ იმ პირის დაშავებისა ან სიკვდილის გამო“ (დანართი).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმ. **გ. ყურულაშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 30.
ტფილისი.-სასახლე.

---

261. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ლიკვიდაციად მიქცეულ საწარმოთათვის, ამა თუ იმ პირის დაშავებისა ან სიკვდილის გამო, გადასახდევინებელი პენსიისა და სასყიდლის კაპიტალიზაციის შესახებ.

„ლიკვიდაციად მიქცეულ საწარმოთათვის, ამ თუ იმ პირის დაშავებისა ან სიკვდილის გამო, გადასახდევინებელი პენსიისა და სასყიდლის კაპიტალიზაციის შესახებ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 23-ს დადგენილების (სსრკ. კან. კრ. 1927 წ. 65 №-რი, მუხ. 661) მე-5 მუხლის თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. უკეთუ საწარმო (სახელმწიფო, შერეული, კოოპერატიული, საზოგადოებრივი და კერძო) მიქცეულია სალიკვიდაციოდ, რა საფუძველზედაც უნდა მოხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს ეს ლიკვიდაცია, ის სასყიდელი, რაც სასამართლო გადაწყვეტილებით ან სხვა რამ საფუძვლით უნდა გადაეხადა ეს ასეთ საწარმოს, დაშავების ან სიკვდილის გამო, დაზარალებულის ან მისი ოჯახის წევრების სასარგებლოდ, უნდა გადაეცეს ამ უკანასკნელთ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მეშვეობით.

2. სალიკვიდაციო კომისია ან ლიკვიდატორები, არა უგვიანეს სამი თვისა იმ დღიდან, რაც მიიღებენ ლიკვიდაციად მიქცეული საწარმოს საქმეებს, მიაწვდიან სახელმწიფო დაზღვევის სათანადო ადგილმდებარე ორგანოებს ცნობებს იმ პირთა შესახებ, რომელთაც ერგებათ ლიკვიდაციად მიქცეულ საწარმოსაგან პეროიოდული სასყიდელი (პენსია), და თან ზედმიწევნით აღნიშნავენ ამ პირთა საცხოვრებელ ადგილს, პერიოდული სასყიდლის როოდენობას და გადახდის ვადას (სიკვდილამდე, დროებითი პენსია); აგრეთვე წარუდგენენ აღნიშნულ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს სასამართლოს გადაწყვეტილებათა ასლებს, აღსრულების ფურცლებს ან სხვა ისეთი დოკუმენტებს, რაც საფუძვლად დაედო პენსიის გაცემას.

3. სახელმწიფო დაზღვევის ორგანო იმ ცნობების მიხედვით, რაც მას მოეპოება პენსიონერის წლოვანების შესახებ (ხოლო, თუ საპირო იქნება სამედიცინო შემოწმების ცნობების მიხედვითაც) გამოიანგარიშებს,—სიკვდილამდე პენსიებისა და დროებითი პენსიების დაზღვევისათვის სახელმწიფო დაზღვევის მთავარი გამგეობის მიერ დადგენილი წესებისა და ტარიფების თანახმად,—იმ კაპიტალიზებული თანხის რაოდენობას, რაც შეტანილ უნდა იქნეს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოში.

კაპიტალიზებული თანხა გამოანგარიშებულ უნდა იქნეს იმ ვარაუდით, რომ სათანადო პირებმა მიიღონ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოსაგან მთელი ის ფული, რაც მათ ერგებათ იმ დღიდან, როდესაც საწარმომ ან სალიკვიდაციო კომისიამ უკანასკნელად გადაუხადა მათ ფული.

4. სალიკვიდაციო კომისიისაგან (ლიკვიდატორებისაგან) სასყიდელთა კაპიტალიზებული თანხის მიღებისთანავე სახელმწიფო დაზღვევის სათანადო ორგანო პენსიის უფლების მქონე პირს მისცემს იმის დამადასტურებელ პოლისს, რომ მისი სიკვდილამდე პენსია ან დროებითი პენსია დაზღვეულია, და საპენსიო წიგნაკს და პენსიების დაზღვევისათვის სათანადოდ დამკიცებული წესების მიხედვით, გასცემს პენსიას სახელმწიფო დაზღვევის იმ ორგანოს მეშვეობით, რომელსაც დაასახელებს დაინტერესებული პირი.

5. ის სასყიდელი, რაც, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 413 მუხლის მეორე ნაწილისა და 414 მუხლის წესისამებრ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, ერგება სოციალური დაზღვევის ორგანოს ლიკვიდაციად მიქცეულ საწარმოსაგან (მუხ. 1) სოციალურად დაზღვეულის სასარგებლოდ, როგორც ლიკვიდაციამდე, ისე ლიკვიდაციის პროცესში შემთხვეული დაშავების ან სიკვდილის გამო, კაპიტალიზებულ იქნება და შეიტანება იმ ადგილის სოციალური დაზღვევის სალაროში, სადაც იმყოფება სალიკვიდაციო კომისია (ლიკვიდატორები).

6. სოციალური დაზღვევის სალარო, რომელსაც სასყიდლის გაღება გადაეწყვიტა, ამ სასყიდლის კაპიტალიზებას მოახდენს იმ პენსიის მიხედვით, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალური დაზღვევის წესით დაენიშნა ინვალიდ-დაშავებულს ან მის ოჯახს, სიკვდილამდე პენსიებისა და დროებითი პენსიების დაზღვევისათვის სახელმწიფო დაზღვევის მთავარი გამგეობის მიერ დადგენილი წესებისა და ტარიფების თანახმად.

7. დამზღვევმა სალარომ პრეტენზია კაპიტალიზებული სასყიდლის შეტანის შესახებ უნდა განუცხადოს სალიკვიდაციო კომისიას (ლიკვიდატორებს) იმ ვადაზე, რაც განსაზღვრულია სამუშაო ხელფასის პრეტენზიის განცხადებისათვის.

სალიკვიდაციო კომისიამ (ლიკვიდატორებმა) თავისი მხრით, იმისდამიუხედავად, შეიტანს თუ არა დამზღვევი სალარო სათანადო განცხადებას, უნდა მიიღოს ღონისძიებანი გასაკაპიტალიზებელი პრეტენზიების გამოსარკვევად და, არა უგვიანეს სამი თვისა საქმეების ჩაბარების დღიდან, აცნობოს ასეთი პრეტენზიები სოციალური დაზღვევის სალაროს მათი რაოდენობის გამოსაანგარიშებლად.

8. უკეთუ სალიკვიდაციო კომისია (ლიკვიდატორები) თანახმა არ არის იმ თანხის რაოდენობაზე, რაც კაპიტალიზაციის წესით გამოიანგარიშა სახელმწიფო დაზღვევის ორგანომ ან დამზღვევმა სალარომ, მას ორი კვირის განმავლობაში შეუძლიან აღძრას სათანადო სარჩელი სასყიდელთა კაპიტალიზებული თანხის გადასინჯვის შესახებ.

სარჩელის აღძვრა ვერ შეაჩერებს ფულის გადახდას აღნიშნული პრეტენზიების გამო; სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ეს პრეტენზიები დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს როგორც უდავო პრეტენზიები.

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც განსაზღვრულ იქნება კაპიტალიზებულ სასყიდელთა თანხა, საბოლოოა და იგი არ განისაჩივრება.

9. დამზღვევი სალაროს პრეტენზია კაპიტალიზებულ სასყიდელთა შეტანის შესახებ დაკმაყოფილების რიგის მხრით ეთანაბრება სამუშაო ხელფასს.

10. მე-5 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სოციალური დაზღვევის ორგანო მისცემს დაზღვეულს პენსიას იმ ვადაზე, რაც დადგენილია სოციალური დაზღვევის წესით უზრუნველყოფილი ინვალიდებისათვის პენსიის მისაცემად.

11. დადგენილება ესე შეტანილ იქნეს სამოქალაქო სამართლის კოდექსში 415[1] მუხლის დანართის სახით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმ. **გ. ყურულაშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებული კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 30.
ტფილისი—სასაზლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

262. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სათამასუქო დებულების 1 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სათამასუქო დებულების (საქართველოს სსრ კან. კრებ. 1924 წ. მე-6 №-რი, მუხ. 28) I მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** თამასუქს ძალა არ ეკარგება, თუნდაც საამისო საღერბო გამოსაღები არ იყოს გადახდილი, ან იგი სათამასუქო ქაღალდზე არ იყოს დაწერილი“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმ. **გ. ყურულაშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 30.
ტფილისი—სასახლე.

---

263. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოების და ჯარის თანამშრომლებისა და თავმდგომთა შედგენილობის საბინაო საჭირობის დასაკმაყოფილებლად სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისათვის საქალაქო სახლთმფლობელობაში საცხოვრებელი სივრცის მიკუთვნების შესახებ.

ამერიკაკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „ამერიკაკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოების და ჯარის თანამშრომლებისა და თავმდგომთა შედგენილობის საცხოვრებელი სივრცით უზრუნველყოფის შესახებ 1929 წლის აგვისტოს 19-ის თარიღით გამოცემული დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრებ. 1929 წ. 16 №-რი, მუხ. 143) საფუძველზე—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მიეკუთნოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებს საქალაქო სახლთმფლობელობაში (ნაციონალიზებული, მუნიციპალიზებულ, მათ შორის საბინაო საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის ექსპლოატაციაში მყოფ, და კერძო მფლობელობის სახლებში) საცხოვრებელი სივრცე, რაც ამა დადგენილების გამოცემის დღისათვის ფაქტიურად უქირავთ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისა და ჯარის თანამშრომლებს და თავმდგომთა შედგენილობას და შეიქმნას ამ სივრცისაგან ამერიკაკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისა და ჯარის საბინაო ფონდი.

შენიშვნა. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის მოქმედება არ გავრცელდება საცხოვრებელ სივრცეზე საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობათა მიერ აგებულ, აღდგენილ და დამთავრებულ სახლებში.

2. მიენდოს საქალაქო საბჭოს ერთი თვის ვადაზე, ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, მოახდინონ, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს მერ საამისოდ უფლებამოსილ პირებთან ერთად, სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ორგანიზებისათვის წინა მუხლის თანახმად მიკუთვნებული საცხოვრებელი სივრცის აღნუსხვა სახლის სამოურაოს (სახლის მფლობელის) მონაწილეობით.

3. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანიზებისათვის მიკუთვნებული ბინებისა და ოთახების სია—საქალაქო საბჭოს, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს და სახლის სამოურაოს (სახლის მფლობელის) წარმომადგენელთა ხელმოწერით, ინახება თითო ცალი საქალაქო საბჭოში. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოში და საპროკურორო ზედამხედველობის სათანადო პირთან.

4. უფლება საცხოვრებელი სივრცის განკარგულებისა მიეცეს ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს.

5. უკეთუ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოები ამა დადგენილების წესით მიკუთვნებულ საცხოვრებელ სივრცეს არ გამოიყენებენ სამი დღის განმავლობაში მისი განთავისუფლების შემდეგ, ეს სივრცე გადავა ადგილობრივი საბჭოს საერთო-კომუნალურ ფონდში, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საცხოვრებელი სადგომების შესახებ“ 1923 წლის სექტემბრის 26-ის თარიღით გამოცემული დეკრეტის „საქართველოს სსრ კან. კოდ. 1923 წ. 2 №-რი, მუხ. 20) მე-5 მუხლის „ა“ პუნქტით.

6. ქ. ტფილისის მუზეუმის ქუჩაზე მდებარე სახლი № 3 მიეკუთნოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებს და ჩაირიცხოს ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისა და ჯარის საბინაო ფონდში.

7. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის მიკუთვნებული საცხოვრებელი სახლებიდან ადმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ“ 1928 წლის დეკემბრის 17-ის თარიღით გამოცემული დადგენილების ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 22 №-რი, მუხ. 255) მოქმედება გავრცელდება ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოებისათვის მიკუთვნებულ სახლებზე ამა დადგენილების წესისამებრ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმ. გ. ყურულაშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1929 წ. ოქტომბრის 30.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

264. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ და ამავე კოდექსიდან 53 მუხ. ამოშლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხ. წესისამებრ (კან. კრებ. 1924 წ. № 1, მუხ. 7), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 მუხლს დამატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

„**შენიშვნა.** ამა მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში განაჩენი გაქარწყლდება ყველა თავისი შედეგით“.

2. იმავე კოდექსიდან ამოშლილ იქნეს 53 მუხლი.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმ. **გ. ყურულაშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 30.
ტფილისი—სასახლე.

---

265. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 61 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ—საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხ. სამ. კოდექსის 61 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

61. ბეგარის მოხდაზე და საერთო სახელმწიფოებრივ დავალებისა ან ისეთი სამუშაოს შესრულებაზე უარის თქმა, რასაც საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს გამოიწვევს

პირველად—ჯარიმას, რასაც დაადებს ხელისუფლების სათანადო ორგანო დაკისრებული ბეგარისა, დავალების ან სამუშაოს ერთიანუთად გადიდებულ ღირებულების ფარგალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორედ—თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობის ერთ წლამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, უკეთუ მას ერთვის ხელისუფლების ორგანოსათვის აქტიური წინააღმდეგობის გაწევა ბეგარისა, დავალების ან სამუშაოს გატარების დროს—

თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე მთელი ქონების ან ქონების ნაწილის კონფისკაციით და ადგილობრივი ტერიტორიიდან გადასახლებით, ან უამისოდ.

უარისთქმა პატიესადებ მიზეზის გარეშე სახელმწიფოს მიერ სტიპენდიატის შენახვასა და სწავლებაზე გაწეული ხარჯის შრომით ანაზღაურების მოვალეობაზე ან ამ მოვალეობისაგან თავის არიდება გამოიწვევს—

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარმას სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯების რაოდენობით.

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბ-
ჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმ. **გ. ყურულაშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-
რულებელი კომიტეტის მდივანი **ხ. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 30.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი"-ს 257 №-ში 1929 წ. ნოემბრის 6.

---

266. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 46 და 48 მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების (საქ. სსრ კან. კრებ. 1928 წ. 16 №-რი, მუხ. 157 და 1929 წ. 13 №-რი, მუხ. 131) 46 მუხ. 1 პუნქტს დამატოს ლიტერა „რ" შემდეგი შინაარსისა:

„რ) დოკუმენტს, რომელიც გაიცემა იმის დასადასტურებლად, რომ დამქირავებელს მართებს დაქირავებულის ხელფასი, უკეთუ აღნიშნული დოკუმენტი გაცემულია შრომის ინსპექტორის თანადასწრებით და შემოწმებულია მის მიერ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სახელმწიფო ნოტარიატის დებულების 48 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** ამ მუხლის წესები არ გავრცელდება ამა დებულების 46 მუხ. მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებზე“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმ. **გ. ყურულაშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომარის 30.
ტფილისი—სასახლე.

---

267. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ქ. ქუთაისის ზოგიერთ საფაბრიკო-საქარხნო საწარმოში საამხანაგო სასამართლოების მოწყობის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

წინადადება მიეცეს იუსტიციის სახალხო კომისარს, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, მოაწყოს დროებით და საცდელად ქ. ქუთაისის ზოგიერთ საფაბრიკო-საქარხნო საწარმოში საამხანაგო სასამართლოები სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აგვისტოს 26-ს დადგენილებით (კან. კრ. 1929 წ. მე-18 №-რი, მუხ. 198) გათვალისწინებული წესების თანახმად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოვ. აღმ. **გ. ყურულაშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 30.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

268. დადგენილება C. ა. კ.

სრულიად საქართველოს წითელი ჯვარის და წითელი ნახევარმთავრის საზოგადოების სამდღიურის ჩატარების შესახებ.

სრულიად საქართველოს წითელი ჯვარისა და წითელი ნახევარმთავრის საზოგადოების მატერიალური სახსარის გაძლიერებისათვის და მისი იდეების და მიზნების პოპულარიზაციისათვის—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იდგენს:

1. ნება დაერთოს სრულიად საქართველოს წითელი ჯვარისა და წითელი ნახევარ-მთავრის საზი გადოებას მოაწყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამდღიური 1929 წლის ოქტომბრის 18, 19 და 20 ამ დადგენილების ქვემოაღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებულ საფუძვლებზე.

2. აღნიშნულ სამ დღეს (ოქტომბრის 18, 19 და 20 (სრულიად საქართველოს წითელი ჯვარისა და წითელი ნახევარ-მთავრის საზოგადოებას ნება დაერთოს:

ა) შეაგროვოს ყოლაბებით ნებაყოფლობითი გამოსაღები ყველგან: ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებების სადგომებში:

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები საზოგადოების მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენონ საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრის სადგომები აგრეთვე რადიო-გადაცემა.

3. შემოღებულ იქნეს ივიეე სამი დღის განმავლობაში დაბეგვრის სახით სრულიად საქართველოს წითელი ჯვარისა და წითელი ნახევარ-მთავრის საზოგადოების სასარგებლოდ-სპეციალური გამოსაღები ყველა გასართობ სანახაობაში (თეატრი, კინო, კონცერტი, ცირკი, სამილიარდო) შემსვლელზე, ბილეთის ღირებულების 10% რაოდენობით.

შენიშვნა. ამ მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდევინებულ იქნეს იმ გამოსაღების გარეშე, რაც საამისოდ დაწესებულია საკავშირო კანონმდებლობის წესით.

4. ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათა განახორციელებს სრულიად საქართველოს წითელი ჯვარისა და წითელი ნახევარ-მთავრის საზოგადოება ამ მიზნისათვის მოწყობილი სამდღიურის ჩამტარებელი განსაკუთრებული მთავარი რესპუბლიკანური კომიტეტის მეშვეობით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 5.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 234 №-ში 1929 წ. ოქტომბრის 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

269. დადგენილება ც. ა. კ.

ახალი თურქული (გალათინიზირებული) ალფაბეტის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემოღების შესახებ.

რადგანაც თურქულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობაში ცოდნის გავრცელებას ხელს უშლის ძველი არაბული ალფაბეტის ხმარება, რომელიც მეტად რთულია და ამის გამო მასებისათვის მიუწვდომელი, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, თანახმად მშრომელთა მიერ არაერთხელ გამოთქმული სურვილისა, ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებას 1930 წლის იანვრის 1-დან ყველა შემთხვევაში, როდესაც საჭირო იქნება თურქული ენის გამოყენება წერისა თუ ბეჭდვისათვის იხმაროს ახალი თურქული (გალათინიზირებული) ალფაბეტი.

2. 1929-30 სასწავლო წლიდან ყველა თურქულ სკოლებში (ყველა სახისა და საფეხურის) შემოღებულ იქნეს სწავლება ახალი თურქული (გალათინიზირებული) ალფაბეტით.

3. წინადადება მიეცეს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა კომისიას მოაწყოს სათანადო ორგანიზაციებთან ერთად, კურსები ქვედა საფეხურის საბჭოთა, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ მომუშავეთა მოსამზადებლად, ხოლო განათლების სახალხო კომისარიატს და ახალი თურქული ალფაბეტის სრულიად საქართველოს კომიტეტს—მიიღონ ღონისძიება პედაგოგიური პერსონალისა და ქვედა საფეხურის კულტურულ მომუშავეთა მოსამზადებლად.

4. ყველა გამომცემლობამ საქართველოს სსრ ფარგლებში უნდა შესწყვიტოს გამომცემლობა ძველი არაბული ალფაბეტით და ამიერიდან ახალი თურქული ლიტერატურის გამოცემა და აგრეთვე ძველი თურქული ლიტერატურის ხელახლა გამოცემა უნდა აწარმოოს მხოლოდ ახალი თურქული (გალათინიზირებული) ალფაბეტით.

5. წინადადება მიეცეს აპარისტანის ავტონომიური სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დაამუშაოს საკითხი აპარისტანის ავტონომიური სსრ ტერიტორიაზე ახალი თურქული (გალათინიზირებული) ალფაბეტის შემოღების ვადის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 5.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 236 №-ში 1929 წ. ოქტომბრის 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

270. დადგენილება ც. ა. კ.

„წერა-კითხვის“ საზოგადოების კვირეულის ჩატარების შესახებ.

„წერა-კითხვის“ საზოგადოების მატერიალური სახსრის გაძლიერებისა და მისი მიზნებისა და იდეების პოპულარიზაციისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ნება დაერთოს „წერა-კითხვის“ საზოგადოებას მოაწყოს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კვირეული 1929 წლ. ნოემბრის 15—21 ამ დადგენილების ქვემო აღნიშნულ მუხლებში გათვალისწინებულ საფუძველზე.

2. აღნიშნულ ვადის განმავლობაში (ნოემბრის 15—21) „წერა-კითხვის“ საზოგადოებას ნება დაერთოს:

ა) შეაგროვოს ყულაბებით ნებაყოფლობით გამოსაღები ყველგან — ქუჩებში, საჯარო ადგილებში და სახელმწიფო დაწესებულებების სადგომებში;

ბ) გამართოს ფასიანი კონცერტები და წარმოდგენები;

გ) გამართოს საჯარო ლექციები, საუბრები და მოხსენებები საზოგადოების მიზნების შესაფერ თემებზე, რისთვისაც შეუძლიან გამოიყენოს საზოგადოებრივი აუდიტორიები და კინო-თეატრების სადგომები, აგრეთვე რადიოგადაცემა.

3. შემოღებულ იქნეს იმავე კვირეულის განმავლობაში დაბეგვრის სახით „წერა-კითხვის“ საზოგადოების სასარგებლოდ სპეციალური გამოსაღები ყველა გასართობ სანახაობაში (თეატრი, კინო, კონცერტი, ცირკი, საბილიარდო) შემსვლელზე ბილეთის ღირებულების 10% რაოდენობით.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული გამოსაღები გადახდევინებულ იქნეს იმ გამოსაღების გარეშე, რაც საამისოდ დაწესებულია საკავშირო კანონმდებლობის წესით.

4. ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათ განახორციელებს „წერა-კითხვის“ საზოგადოება ამ მიზნისათვის მოწყობილი კვირეულის ჩამტარებელი განსაკუთრებული მთავარი რესპუბლიკანური კომიტეტის მეშვეობით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

1929 წ. ოქტომბრის 30.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „კომუნისტი“-ს 256 №-ში 1929 წ. ნოემბრის 5-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისარიათა საბჭოს დადგენილებანი

271. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან დასავლეთ საქართველოსა, აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან საბრძოლველად კომიტეტის დაარსების შესახებ.

რადგანაც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 11-ს დადგენილებით საქართველოს სსრ ზოგიერთი რაიონები მიმდინარე წელში მომხდარ სტიქიურ უბედურებათა გამო ცნობილია მოუსავლიან რაიონებად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაარსებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან დასავლეთ საქართველოსა, აფხაზეთის სსრ-ისა აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში სტიქიურ უბედურებათა შედეგებთან საბრძოლველად კომიტეტი შემდეგი შედგენილობით: ამხ. ამხ. ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), გ. მგალობლიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ვ. ივანოვ-კავკასსკი, მ. კახიანი, ლ. ღოღობერიძე, ლ. სუხიშვილი, ვ. ბოლქვაძე, ს. ჯუღელი, ა. კაპარავა, პ. ქუთათელაძე, ა. საკაიანი, გ. მამალაძე, ე. ღვამიჩავა, ნ. ლაკობა, ზ. ლორთქიფანიძე, აბაევი, ა. ერისთავი, შ. ლეკვა, ს. ვირსალაძე, ნ. მახვილაძე, ს. კანდელაკი, ა. ბუაჩიძე, შ. ნუცუბიძე, ი. ჟვანია, ჭანკვეტაძე, არუთინოვი, თ. დოლიძე, ი. ფრანგულიანი, ლ. ნაზარეტიანი და მ. მაჩაიძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ოქტომბრის 11.
ტფილისი—სასახლე.

---

272. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

შინამომუშავეთა შრომის პირობების შესახებ.

1. შინამომუშავედ ჩაითვლება ის პირი, ვინც პირადი შრომით (მათ შორის ოჯახის წევრთა მონაწილეობით) დაქირავების წესით სამუშაოს შინ ასრულებს, როგორც დამქირავებლისაგან ნატურად მიღებული მასალით, ისე იმ მასალით, რაც შეძენილი იქნება ამ მიზნისათვის დამქირავებლის მიერ მიცემული სახსარით.

შინამომუშავედ ჩაითვლება აგრეთვე ის პირი, ვინც დაქირავებით მუშაობს და ეწევა დამხმარე მასალის მიწოდებას, იმ რაოდენობით, რაც არ აღემატება დამზადებულ საგანზე დახარჯული ყველა მასალის ღირებულების 10%-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ამა დადგენილების მოქმედება გავრცელებულ იქნეს აგრეთვე სახელმწიფო ორგანოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და კერძო საწარმოთა მიერ იმ სამუშაოს დარიგების შემთხვევაზეც, რაც შინ სრულდება და რაც დანიშნულია ხსენებულ ორგანოთა, ორგანიზაციათა და საწარმოთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

შენიშვნა. ეს დადგენილება არ გავრცელდება ისეთი შეკვეთის შინ შესრულების შემთხვევაზე, რაც დანიშნულია ხხოლოდ შემკვეთის ან მისი ოჯახის წევრის პირადი საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

3. აკრძალულ იქნეს შინ შესასრულებლად სამუშაოს მიცემა იმ პირთათვის ვინც მთელი სამუშაო დღის განმავლობაში საწარმოში თუ დაწესებულებაში მუშაობს.

4. შინამომუშავეზე გავრცელდება საერთო შრომის კანონმდებლობის მოქმედება იმ გამონაკლისით, რაც ამა დადგენილებით არის დაწესებული.

5. ის საწარმო, დაწესებულება და პირი, რომელიც სამუშაოს შინ შესასრულებლად შუამავლთა მეშვეობით არიგებს, პასუხს აგებს, შინამომუშავეთა წინაშე შუამავალთან სოლიდარულად.

6. შინამომუშაეთა შრომის პირობები მეიძლება მოწესრიგებულ იქნეს ამა თუ იმ დამქირავებლის საწარმოში მომქმედი კოლექტიური ხელშეკრულებით— იმ შემთხვევებში და იმ ფარგლებში, რაც ამ ხელშეკრულებით (სატარიფო შეთანხმებით) გათვალისწინებულია.

7. შინამომუშავესთან დადებული შრომის ხელშეკრულება დამქირავებლის მიერ შეიძლება მოშლილ იქნეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) უკეთუ მოხდა საწარმოს, დაწესებულების, თუ მეურნეობის სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაცია ან უკეთუ მათში მუშაობა შემცირებულ იქნა;

ბ) უკეთუ მუშაობა შეჩერდა წარმოებითი ხასიათის მიზეზების გამო ორ კვირაზე მეტი ხნით;

გ) უკეთუ აღმოჩნდა, რომ შინა მომუშავე უვარგისია მუშაობისათვის;

დ) უკეთუ დაქირავებული სისტემატიურად არ ასრულებს,—პატივსადები მიზეზის გარეშე,—იმ მოვალეობას, რაც ხელშეკრულებით დაკისრებული აქვს;

ე) უკეთუ დაქირავებულმა ჩაიდინა სისხლის სამართლის წესით სადევნელი ქმედობა, რაც უშუალოდ დაკავშირებულია მის მუშაობასთან და რაც დადგენილია სასამართლოს ძალაში შესული განაჩენით, ან უკეთუ იგი პატიმრობაში იყო ორ კვირაზე მეტი ხნით;

ვ) უკეთუ შინამომუშავე, შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო, ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში არ შეასრულებს სამუშაოს.

8. როდესაც შინამომუშავე დათხოვნილ უნდა იქნეს წინა (მე-7) მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტში აღნიშნულ მიზეზთა გამო, დამქირავებელი ვალდებულია ერთი კვირით ადრე გააფრთხილოს შინამომუშავე დათხოვნის შესახებ, ხოლო თუ არ აფრთხილებს—მისცეს გასასვლელი დახმარება ერთი კვირის ხელფასის რაოდენობით.

წინა მუხლის (მ. 7) „დ“, „ე“ და „ვ“ პუნქტში აღნიშნულ მიზეზთა გამო დათხოვნის დროს გაფრთხილება დათხოვნის შესახებ ან გასასვლელი დახმარების მიცემა სავალდებულო არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. იმ შინამომუშაოის დათხოვნა, რომელიც საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტის ან სხვა სათანადო ორგანოს წევრია, შეიძლება მხოლოდ პროფესიონალური (საწარმოო) კავშირის თანხმობით.

10. მასალის გაცემისა და სამუშაოს ჩაბარების დრო და წესი და აგრეთვე შინ სამუშაოს შესრულებისათვის კონტროლის გაწევის წესი დადგენილ იქნება შრომის კანონთა კოდექსის 54 მუხლის წესისამებრ დამტკიცებულ შინაგანრიგების წესებში.

11. ნამუშევარის ნორმები და ნაჭრობითი ფასები დადგენილ იქნება მხარეთა შეთანხმებით ნორმალური სამუშაო დროის მიხედვით, რაც შრომის კანონმდებლობის თანახმად დაწესებულია სათანადო სამუშაოებისათვის.

12. შინამომუშაოის სამუშაო ხელფასის რაოდენობა არ შეიძლება ამა თუ იმ ადგილას არსებულ სამუშაო ხელფასის საკავალდებულო მინიმუმზე ნაკლები იყოს.

13. შინამომუშაევთათვის შრომის სასყიდლის მიცემა წარმოებს სრულის შეფარდებით მათ ძირ დამზადებული ნაკეთობის რაოდენობასთან და ხარისხთან.

სასყიდელი შინამომუშაოის იარაღის ცვეთისათვის და აგრეთვე მუშაობის შესრულების დროს მის მიერ მაწოდებული მასალისათვის შეიძლება შეტანილ იქნეს ნაჭრობით შეფასებაში. შინამომუშაოის მიერ მასალის და სამუშაოს მისაღებად, მუშაობის ჩასაბარებლად და ანგარიშის გასასწორებლად დახარჯული დრო გათვალისწინებულ უნდა იქნეს ნამუშევრის ნორმების დადგენის დროს.

14. საკითხი მოცდენის სასყიდლის შესახებ გადაწყდება მხარეთა შეთანხმებით.

15. უკეთუ შინამომუშავეს ეძლევა უფრო მცირე სასყიდლიანი სამუშაო მას შეენახება წინანდელი ხელფასი ერთი კვირის განმავლობაში მცირე სასყიდლიდან სამუშაოზე გადაყვანის დღიდან.

16. საკალდებულო სამხედრო სამსახურის გასავლელად გაწვეულ პირთათვის კანონით დაწესებული შეღავათები გავრცელდება შინამომუშავეზე, უკეთუ მას ერთ დამქირავებელთან ექვსი თვეზე ნაკლები არ უმუშავნია. იმ შინამომუშავეს, რომელსაც ერთ თვეზე მეტი, ხოლო ექვსი თვეზე ნაკლები აქვს ნამუშევარი, სათანადო შემთხვევაში შეენახება სამუშაო და ხელფასი დადგენილი რაოდენობით და ყოველ შემთხვევაში არა უსანგრძლივეს დაქირავების ვადისა ან იმ სამუშაოს დამთავრებისა, რომლისათვისაც შინამომუშავე დაქირავებული იყო; ერთდროული დახმარება მას მიეცემა ნახევარი რაოდენობით. იმ შინამომუშაოვეს, რომელსაც ერთ თვეზე მეტი არ უმუშავნია, თანამდებობა და ხელფასი არ შეენახება.

სათანადო შემთხვევაში ერთდროული დახმარება სამი დღის ხელფასის რაოდენობით მიეცემა იმ შინამომუშავეს, რომელსაც უმუშავნია ექვსი დღეზე მეტი, ხოლო არა უმეტეს ერთი თვისა. იმ პირს, ვისაც ექვსი დღეზე ნაკლები უმუშავნია, დახმარება არ მიეცემა.

17. შინამომუშავეს შეენახება ხელფასი იმ დროს განმავლობაში, როცა იგი განახორციელებს თავის საარჩევნო უფლებას საბჭოების არჩევნებში და აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეთვე იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი არჩეულ იქნა პროფესიონალურ კავშირთა ყრილობებში ან კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად.

18. იმ შინამომუშავეს, რომელმაც ერთსა და იმავე დამქირავებელთან 11 თვის განმავლობაში იმუშავა, მიეცემა მორიგი შვებულება ორი კვირით და შვებულების დროის ხელფასი წინდაწინ.

უკეთუ შინამომუშავემ თავისი ბრალით 11 თვის განმავლობაში ვერ შეასრულა მთელი სამუშაო ნორმა, შვებულების ხანგრძლივობა შეიძლება სათანადოთ იქნეს შემცირებული.

შვებულების განმავლობაში შინამომუშავისათვის სამუშაოს შინ შესასრულებლად მიცემა აკრძალულია, უკეთუ შინამომუშავე დათხოვნილ იქნა შვებულების უფლების მოპოვებამდე, მას მიეცემა კომპენსაცია ნამუშევარი დროის პროპორციულად.

19. სამუშაოს მიმცემზე, რომელიც შინამომუშაეთა შრომას იყენებს, სრულად გავრცელდება წესები მრეწველობაში მომუშავე მოზარდთა მინიმალური რიცხვის შესახებ.

20. ის საწარმო, დაწესებულება და პირი, რომელიც სამუშაოს არიგებს შინ შესასრულებლად, ვალდებულია იქონიოს შრომის ინსპექციის მიერ შემოწმებული დავთარი დაქირავებულ შინამომუშავეთა ჩასაწერად, დაქირავების ვადისა და თვითეული შინამომუშავის მისამართის აღნიშვნით და უნდა იქონიოს აგრეთვე ანგარიშგასწორების ფურცლები.

ანგარიშგასწორების წიგნაკი შინამომუშავეს მიეცემა იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი ორ კვირაზე მეტი ხნით იქნა დაქირავებული.

21. უკეთუ დამქირავებელი შესწყვეტს სამუშაოთა დარიგებას შინ შესასრულებლად თავისი სახელოსნოს მოწყობის ან უკვე არსებული სახელოსნოს გაფართოების გამო, მუშა შინამომუშავენი, რომელნიც ამ დამქირავებლისათვის შინ მუშაობენ, გადაყვანილ უნდა იქნენ სახელოსნოში სამუშაოდ პირველ რიგში.

22. ყველა საშრომო დავა შინამომუშავესთან გადაწყდება შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიასა და სახალხო სასამართლოს შრომის სესიაში. უკეთუ საწარმოში შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია არ არის, დავა გადაწყდება სათანადო პროფესიონალური კავშირის ჯგუფობრივ კომიტეტთან არსებულ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების ნიადაგზე აღძრულ დავათა განსახილველად მოიწყობა მომრიგებელი კამერები და სამედიატორო სასამართლოები საერთო საფუძველზე.

23. შინამომუშავეთა სოციალური დაზღვევა მოწესრიგდება ცალკე დადგენილებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ოქტომბრის 22.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

273. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

მუთათა ბინებისა და მუშებით დასახლებული ადგილების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებათა შესახებ.

მუშათა ბინებისა და მუშებით დასახლებული ადგილების სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათი მოსახლეობისათვის რაც შეიძლება უკეთესი ცხოვრების პირობების შესაქმნელად და მათ კეთილმოსაწყობად—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მუშებით დასახლებული ახალი ადგილების მოწყობისა და არსებული ადგილების გაფართოების დროს წინასწარ უნდა მოხდეს ამ ადგილების დაგეგმვა—საცხოვრებელი სახლების აგებისათვის მომქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმების მიხედვით. ყველა ღონისძიება მუშებით დასახლებული ადგილების მშენებლობისა და კეთილმოწყობის დარგში განხორციელებულ უნდა იქნეს სრულის შესაბამისობით დაგეგმვის დამტკიცებულ პროექტებთან.
წყლის მიწოდებისა, უშმინდურობის და ნაგავისაგან გასუფთავებისა და წვიმის წყლის გაშვების საქმის მოწყობა უნდა სწარმოებდეს მუშებით დასახლებული ადგილის მოწყობასთან ერთად.

2. მუშებით დასახლებული ადგილებისათვის საქარხნო-საფაბრიკო საწარმოს და ტრანსპოტის წყალსადენიდან წყლის მიწოდების დროს აუცილებლად უნდა სწარმოებდეს წყლის გაწმენდა და აგრეთვე ლაბორატორული კონტროლი, უკეთუ ამას მოითხოვენ სანიტარული ორგანები სანიტარული ხასიათის ჩვენებათა მიხედვით.

3. აიკრძალოს—უკეთუ ამას განსაკუთრებით არ მოითხოვს მუშებით დასახლებული ადგილების დაგეგმვისა და აღნაგობის საჭიროება,—მოჭრა და მოსპობა ნედლი ნარგავისა, როგორც თვით მუშებით დასახლებულ ადგილას, ისე მის მიდამოებში, რომელნიც მისთვის მწვანე და საფარ ზონას წარმოადგენენ და რომელნიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ დასვენების ადგილად. აღნიშნული ნედლი ნარგავების შენარჩუნებისათვის საჭიროა მათი დაცვა და სწორე ექსპლოატაცია.

4. მუშებით დასახლებული ადგილის დაგეგმვისა და აღნაგობის დროს წინასწარ გათვალისწინებულ იქნეს სათანადო ნაკვეთების გამოყოფა და სპეციალური დანიშნულებისა და საზოგადოებრივი სარგებლობის შენობების აგება, როგორიც არის: ა) საზოგადო აბანოები და სამრეცხველოები; ბ) საზოგადო სასადილოები; გ) ბაზრები და კოოპერატივები; დ) დასვენებისა და ფიზიკური გართობის ადგილები—ფიზიკური კულტურის მოედნები, სბავშვო მოედნები, კლუბები; ე) სანიტარულ-პროფილაქტიური დაწესებულებანი—კონსულტაცია, ბაგები, ამბულატორიები და სხვ. მუშებით დასახლებული ადგილის მცხოვრებნი პირველ რიგში უზრუნველყოფილ უნდა იქნენ საზოგადო სამრეცხველოთი და აბანოთი, რომლებისათვისაც შემუშავებულ უნდა იქნეს სათანადო სანიტარულ-ტეხნიკური ნორმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. სახსარი ამ მუხლში აღნიშნული მშენებლობისათვის გადადიდება სპეციალურ ასიგნვათა თანხიდან იმ სახსარის დამატებად, რაც დანიშნულ იქნება საბინაო მშენებლობისათვის.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტს, შრომის სახალხო კომისარიატთან, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (ა/კ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან), სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად,—საბინაო კოოპერაციის ცენტრალური კავშირის მონაწილეობით,—შეიმუშაოს და წარუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს მუშათა ბინების ტიპიური პროექტები, ცალკე რაიონების მიხედვით და საკანონმდებლო წესით გამოცემულ სანიტარულ-ტეხნიკურ და ეკონომიურ მოთხოვნათა დაცვით.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული მუშათა ბინების ტიპიური პროექტები შემუშავებულ უნდა იქნეს ამიერკავკასიის ნაგებობათა ინსტიტუტის დახმარებით.

6. მუშებით დასახლებული ადგილებისა და მუშათა ბინების სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფის და ამ ადგილებსა და ბინებში მცხოვრებთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით—დაევალოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით, განსაზღვროს აღნიშნული ადგილებისა და ბინების დასახლების სანიტარული წესები.

7. წინადადება მიეცეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს—მუშებით დასახლებული ადგილებისა და მუშათა ბინების სანიტარული მდგომარეობის დაცვის და მათი კეთილმოწყობის მიზნით გაუწიონ მუდმივი მეთვალყურეობა მათი შენახვის საქმეს და სანიტარული მდგომარეობას სახლთა სამოურაოთა მიერ გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთა მეშვეობით.

8. დაევალოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან ერთად, ერთი თვის განმავლობაში გამოსცეს ინსტრუქცია სანიტარულ ორგანოთა და სახლის სამოურავოთა ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ და აგრეთვე ამ უკანასკნელთა მოვალეობის შესახებ სანიტარული წესების დაცვის საქმეში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბ-
ჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ოქტომბრის 29.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

274. დადგენილება ს. კ. ს.

სოფლად სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის გადასახადის შეკრეფის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სოფლად სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის გადასახადის შეკრეფა დაეკისრება სასოფლო საბჭოს.

შენიშვნა. სასოფლო საბჭოს თანაბრად დაზღვევის გადასახადის შეკრეფა შეუძლიანთ აგრეთვე სახელმწიფო დაზღვევის აგენტებსაც.

2. პასუხისმგებლობა სოფლად სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის გადასახადის შეკრეფისათვის,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. სექტემბრის 12-ს თარიღისა და 162 №-ის დადგენილებით (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-18 №-რი, მუხ. 158) განსაზღვრულ ვადებზე—დაეკისრება სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს.

საერთო ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის გაწევა სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის გადასახადის შეკრეფისათვის დაეკისრება საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტს.

3. სასოფლო საბჭო მოვალეა შემოსული დაზღვევის გადასახადის თანხები გადასცეს სახელმწიფო დაზღვევის აგენტებს შვიდი დღის განმავლობაში დღიდან თანხების შესვლისა.

4. სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები მოვალენი არიან გადარიცხონ სასოფლო საბჭოს გასამრჯელოდ სასოფლო საბჭოს მოქმედების რაიონში შეკრეფილი დაზღვევის გადასახადის ყოველი თანხის 3%-ი.

აღნიშნული გასამრჯელო ეძლევა მთლად იმ პირებს, რომელთაც შეჰკრიფეს დაზღვევის გადასახადი.

5. ინსტრუქციას ამა დადგენილების განხორციელებისათვის გამოსცემს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი—სრულიად საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის კონტროლთან შეთანხმებით.

6. ამა დადგენილების მოქმედება გავრცელებულ იქნეს სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის გადასახადის შეკრეფაზე 1929/30 წელს.

7. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. სექტემბრის 11-ს დადგენილება „სოფლად სავალდებულო საგადანაკვეთო დაზღვევის პრემიების შეკრეფის სათემო აღმასრულებელ კომიტეტებისათვის დაკისრების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-12 №-რი, მუხ. 123).

8. დაევალოს აფაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ ანალოგიური დადგენილებანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ჰ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ოქტომბრის 29.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 261 №-ში 1929 წ. ნოემბრის 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

275. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

დედა-ცხვრების დაკვლის აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დროებით, განსაკუთრებულ განკარგულებამდე, აკრძალულ იქნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დედა-ცხვრების დაკვლა.

2. ამა დადგენილების 1-ლი მუხლის დარღვევისათვის დამნაშავეს დაედება ადმინისტრატიული წესით ჯარიმა 100 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა ერთ თვემდე იმ წესების თანახმად, რაც განსაზღვრულია „სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და მათი დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით გადასახდელის დადების დებულებით“ (საქართველოს სსრ კან. კრ. 1927 წ. 7 №-რი, მუხ. 100, 1928 წ. 10 №-რი, მუხ. 92, 1929 წ. 14 №-რი, მუხ. 145).

3. მეთვალყურეობის გაწევა ამა დადგენილების აღსრულებისათვის დაეკისრება საქალაქო და სასოფლო საბჭოებს.

4. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ნოემბრის 1.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 257 №-ში 1929 წ. ნოემბრის 6.

---

276. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ში სამეცხვარეო მეურნეობათათვის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში შელავათის მინიჭების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიეცეს ყველა სამეცხვარეო მეურნეობას, გარდა კულაკური მეურნეობისა, შეღავათი ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სფეროში—ამ მეურნეობისათვის 1929-30 წ. გამოანგარიშებული გადასახადის იმ ნაწილის გადახდისა, რაც ამა დადგენილების გამოქვეყნების დღისათვის გადახდილი არ არის.

3. წინადადება მიეცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატს სამი დღის განმავლობაში გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ნოემბრის 1.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 256 №-ში 1929 წ. ნოემბრის 5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

277. დადგენილება ს. კ. ს.

დაინტერესებულ სახალხო კომისარიატებზე, ტრესტებზე, სამეურნეო ორგანიზაციებზე, კოოპერატიულ და კოლექტიურ მეურნეობებზე უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო პროფესიონალურ-ტექნიკურ სასწავლებლების მიმაგრების შესახებ.

სასწავლებელთა და იმ სახელმწიფო და სამეურნეო საწარმოთა შორის, რომელთაც ეს სასწავლებლები მომსახურეობას უწევენ, რაც შეიძლება მჭიდრო კავშირის დასამყარებლად, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების მატერიალური ბაზის გასაძლიერებლად, აგრეთვე მოსწავლეთა მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად და სასწავლებლების კურსდამთავრებულთათვის, მათი სპეციალობის მიხედვით, სამსახურში მოწყობის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად,—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას აძლევს განათლების სახალხო კომისარიატს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან, შრომისა, მიწათმოქმედებისა, ჯანმრთელობისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატებთან, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან საქართველოს სსრ-ში და სხვა სახალხო კომისარიატებთან (კუთვნილებისამებრ) ერთად, ორი თვის ვადაზე, მიამაგროს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტი და აგრეთვე საქართველოს ყველა ტეხნიკური სასწავლებელი სათანადო დაინტერესებულ სახალხო კომისარიატებს (სხვადასხვა ორგანოების სახით) ტრესტებს, დიდ საწარმოთ, მთავარ სამმართველოებს, სამეურნეო ორგანიზაციებს, კოოპერატიულ და კოლექტიურ მეურნეობათა, ხელშეკრულობის საფუძველზე შემდეგი პირობებით:

1. აღნიშნულ სასწავლებლებში მისაღებ მოსწავლეთა რიცხვის საკითხს განათლების სახალხო კომისარიატი შეუთანხმებს დაინტერესებულ სახალხო კომისარიატებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს.

2. დაინტერესებული ორგანიზაციები, თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, იღებენ მონაწილეობას განათლების სახალხო კომისარიატის ორგანოებში მათზე მიმაგრებული სასწავლებლების (მთლად ან განყოფილებისა თუ კათედრის) სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენის და გადასინჯვის დროს.

3. დაინტერესებული ორგანიზაციები, თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, იღებენ მონაწილეობას მათზე მიმაგრებული სასწავლებლებისა თუ კათედრების სამეცნიერო-სამასწავლებლო პერსონალის არჩევაში.

4. დაინტერესებული ორგანიზაციები მოვალენი არიან უზრუნველჰყონ მათზე მიმაგრებული სასწავლებლების მოსწავლენი სათანადო პრაქტიკით თავიანთ საწარმოში და ამ პრაქტიკის ჩატარების ტეხნიკა უნდა შეუთანხმონ მათზე მიმაგრებულ სასწავლებელს.

5. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა გაუწიონ სასწავლებლებს მატერიალური დახმარება სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნით და მიმაგრებული სასწავლებლების სამეცნიერო-სასწავლო გაწყობილობის გასაძლიერებლად დოტაციის მიცემით, არსებული კანონების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. სამეურნეო ორგანიზაციები აარსებენ სტიპენდიებს უპირველესყოვლისა მათზე მიმაგრებულ სასწავლებლებში.

6. ის სპეციალური სასწავლებლები, რომელნიც საწარმოზე მიმაგრებულ არ არიან, თანდათანობით გაუქმებულ უნდა იქნენ.

7. მოსაწყობი მრეწველობისათვის სპეციალისტების მოსამზადებლად განათლების სახალხო კომისარიატი წარავლინებს სსრკ-ის სპეციალურ სასწავლებლებში ახალგაზრდათა განსაზღვრულ კადრს სტიპენდიების დანიშვნით.

8. სტიპენდიების დანიშვნა და გამოყენება საწარმოებს განსაკუთრებული ხელშეკრულებების დადების წესით; ამ ხელშეკრულებათა ფორმას დაამტკიცებს განათლების სახალხო კომისარიატი—შრომის სახალხო კომისარიატთან და დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით.

9. სასწავლებელთა ლაბორატორიები და იმ საწარმოთა და მეურნეობათა ლაბორატორიები, რომლებზედაც მიმაგრებულ არიან სასწავლებლები, შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც მრეწველობის მიზნებისა, ისე სამეცნიერო მიზნებისათვის.

10. ამა თუ იმ საწარმოზე მიმაგრებულმა სასწავლებელმა სადიპლომო სამუშაოს თემები უნდა შეუთანხმოს სათანადო საწარმოს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ნოემბრის 5.
ტფილისი—სასახლე.

---

278. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

ექიმთა სამეცნიერო წარვლინების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მედიცინის სხვადასხვა დარგის სპეციალისტების მოსამზადებლად და ექიმების სპეციალურ კოდნათა განსაკეთარებლად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი და მისი ადგილმბრივი ორგანოები მუდმივი სამსახურის ექიმებს წარავლინებენ სხვადასხვა ადგილას სამეცნიერო მიზნით.

სამეცნიერო წარმატებისათვის წარსავლინებელ ექიმებს გამოარჩევენ: ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ მედიკო-სანიტარულ საქმეში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის (მედსანშრომის) ცენტრალურ გამგეობასთან შეთანხმებით, ხოლო ჯანმრთელობის განყოფილებანი—იმავე კავშირის სათანადო ადგილობრივ განყოფილებასთან შეთანხმებით და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ნებართვით.

2. წარვლინებულს და მის ოჯახს წარვლინების მთელი დროის განმავლობაში, ბინის გარდა, შეენარჩუნება კომუნალური მომსახურეობა და აგრეთვე სამუშაო ხელფასი, რასაც იგი ფაქტიურად იღებდა წარვლინებამდე.

ამის გარდა, წარვლინებული უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სტიპენდიით წარმვლინებელი ორგანოს ხარჯით. უსტიპენდიოდ წარვლინება შეიძლება საქართველოს სსრ მედიკო-სანიტარულ საქმეში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირთან (მედსაშრომასთან) შეთანხმებით ყოველ ცალკე შემთხვევაში.

3. წარვლინებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა: გზის ფული, ორივე მიმართულებით, გადასახდელი კურსებზე მეცადინეობისათვის, უკეთუ ასეთი გადასახდელი დაწესებულია, დღიური სარგო მთლად გზაში ყოფნის დროისათვის, რაც გაცემულ უნდა იქნეს სამსახურებრივ წარვლინებათა შესახებ გამოცემული სპეციალური კანონის თანახმად,—დაიფარება სათანადო ორგანოს სახსრით.

4. სამეცნიერო წარვლინებისათვის უნდა ექიმმა იმსახუროს სათანადო ორგანოს დაწესებულებაში შემდეგი ანგარიშით: იმ წარვლინებისათვის, რომელიც ექვს თვეზე მეტი არ გაგრძელებულა,—ერთი წელიწადი, ხოლო წარვლინებისათვის ექვს თვეზე მეტი ხნით—ორი წელიწადი. ის დრო, რასაც წარვლინებული გზაში დაჰყოფს, წარვლინების ვადაში არ ჩაითვლება.

5. ამ დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებული მოვალეობისაგან ექიმი განთავისუფლდება მობილიზაციით გაწვევის დროს და მობილიზაციით ნამსახურევი დრო ჩაეთვლება მას მე-4 მუხლში აღნიშნულ სავალდებულო სამსახურის ვადაში; აგრეთვე იგი განთავისუფლდება აღნიშნული მოვალეობისაგან, უკეთუ ცნობილ იქნა, რომ იგი მოკლებულია პროფესიონალურ შრომისუნარიანობას უწყებული საქმისათვის და უკეთუ ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც წარვლინებიდან დაბრუნდება, მას არ დანიშნავენ სათანად მუშაობაზე.

6. დადგენილება ესე გავრცელდება აგრეთვე სამეცნიერო წარმატებისათვის წარვლინებულ კბილის ექიმებზედაც.

7. დადგენილება ესე არა ვრცელდება სასაზღვარგარეთო სამეცნიერო წარვლინებაზე, რაც სპეციალური წესებით რეგულირდება.

8. წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად, გამოსცეს ინსტრუქცია ამ დადგენილების შესაფარდებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგ. **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ. ნოემბრის 5.
ტფილისი—სასახლე.

279. დადგენილება ს. კ. ს.

საცხოვრებელი სადგომების შოვნისა, დაქირავების და გაცვლა-გამოცვლისათვის საშუამავლო საბინაო ბიუროს დაარსების შესახებ.

„საბინაო მეურნეობისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ივლისის 11-ს დადგენილების (საქ. კან. სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-16 №-რი, მუხ. 176) მე-9 მუხლის განსაკუთარებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საშუამავლო საბინაო ბიუროებს მოაწყობენ საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმები შემდეგი შედგენილობით: გამგე, რომელსაც დანიშნავს საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი და წარმომადგენელნი: საბინაო კოოპერაციის კავშირისა და საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი (ტფილისში) ან პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს საოლქო (სამაზრო) ბიუროებისა (სხვა ქალაქებში).

2. საშუამავლო საბინაო ბიუროს დაეკისრება:

ა) მშრომელთათვის მომსახურეობის გაწევა საცხოვრებელი სივრცის გაცვლა-გამოცვლით და საცხოვრებელი სადგომების შოვნით მუნიციპალიზებულ და ნაციონალიზებულ სახლებში, აგრეთვე სამუშე ბინათ—მშენებლობის პრინციპებზე აგებულ სახლებში;

ბ) მოსახლეობის ყველა ჯგუფისათვის მომსახურეობის გაწევა საცხოვრებელი სივრცის გაცვლა-გამოცვლით და საცხოვრებელი სადგომების შოვნით კერძო მფლობელობის სახლებში;

გ) სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი დაწესებულებათა და საწარმოთათვის მომსახურეობის გაწევა საჭირო სადგომების შოვნით.

3. წინა მუხლში აღნიშნული ფუნქციების შესასრულებლად საშუამავლო საბინაო ბიუროს შეუძლიან:

ა) მიიღოს ცალკეული პირისა, დაწესებულებისა და საწარმოსაგან, აგრეთვე სახლის სამოურაოსაგან განცხადება სადგომის გაცვლა-გამოცვლისა და შოვნის თაობაზე, განთავისუფლებული სადგომებისა და მდგმურების შოვნის თაობაზე, აგრეთვე საკონტორო, საკანცელარიო და სავაჭრო-სამრეწველო ხასიათის სადგომებზე არსებული მოთხოვნილებისა და დაკმაყოფილების შესახებ და, საერთოდ, აწარმოოს ბინებსა და სადგომებზე არსებულ მოთხოვნა-დაკმაყოფილების რეგისტრაცია;

ბ) ხელი შეუწყოს მსურველთ საცხოვრებელი და სხვა ხასიათის სადგომების გაცვლა-გამოცვლისა და დაქირავებისა და საამისო გარიგების დადების საქმეში;

გ) მიიღოს და გააფორმოს სახლის სამოურაოს თანხმობა ისეთ შემთხვევაში, როდესაც ბინებსა სცვლიან კერძო მფლობელობის სახლების მდგმურები ან კერძო მფლობელობის სახლის მდგმური—ერთი მხრით და მუნიციპალიზებული ან ნაციონალიზებული სახლის მდგმური—მეორე მხრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. იმისათვის, რათა მუნიციპალიზებულ სახლში (სხვათა შორის ისეთში, რომელიც საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობასა აქვს იჯარით აღებული) მცხოვრებმა მშრომელმა პირებმა გაუცვალონ ერთმანეთს საცხოვრებელი სადგომები, ამ სახლის სამოურაოს თანხმობა საჭირო არ არის (სამოქ. სამართ. კოდ. 156[1] მუხ.).

4. საშუამავლო საბინაო ბიურო მოქმედობს სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე. საქალაქო საბჭო დაწესებს საბინაო ბიუროს მიერ გასაწევი მომსახურეობისათვის გადასახდევინებელი გამოსაღების რაოდენობას; ამასთანავე, იმ მუშებისა და მოსამსახურეებისა, აგრეთვე ბინის ქირის მხრივ მათთან გათანასწორებულ პირთა კატეგორიებისათვის, რომელნიც საცხოვრებელ სივრცეს გასცვლიან ან დაიქირავებენ ბიუროს დახმარებით, გამოსაღები დაწესებულ უნდა იქნეს ისეთი რაოდენობით, რაც არ აღემატება ახალი ბინის თვიური ქირის 50%-ს.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. მგალობლიშვილი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **პ. მეგრელიშვილი.**

1929 წ ნოემბრის 5.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 261 №-ში 1929 წ. ნოემბრის 13.

საქ. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
მთავლიტი № 2.013 დაიბეჭდა 1.250